სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება №50-061218-04

ქ. თბილისი 06 დეკემბერი, 2018 წ.

ერთის მხრივ, სს„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში ომარ ოგბაიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს„ჯობს.გე“ (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის, ალექსანდრე ხუბულავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ მიწოდებული განცხადების//ვაკანსიასთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსებას შპს„ჯობს.გე“-ს ვებ-გვერდზე და ელ. დაგზავნაზე.(CPV 79620000) (შემდგომში -მომსახურება).

1.2. გასაწევი მომსახურების (განცხადებების განთავსება) ფასების დათვლის პრინციპი მოცემულია დანართი N1-ის სახით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. შემსყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია გაუგზავნოს მიმწოდებელს განცხადება წინასწარ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული განცხადების 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში განთავსება შპს„ჯობს.გე“-ს ვებ-გვერდზე და განახორციელოს ვებ-დაგზავნები, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ვადით.

2.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება

2.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ განათავსოს ვებ-გვერდზე შემსყიდველის მიერ მიწოდებული განცხადება (ინფორმაცია), მათ შორის ისეთი, რომელიც შეიცავს არაკორექტულ, არაეთიკურ, ან მესამე პირების შეურაცხმყოფელ ინფორმაციას.

2.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.6. მიმწოდებელი ვალდებულია, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები.

3. „მომსახურების“ გაწევის წესი, მიღებ-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ეტაპობრივად, 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურება იწყება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი მასალების(განცხადების) წარდგენის სამუშაო დღიდან და შესრულებულად ითვლება განცხადების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვებ-გვერდზე მხარეთა მიერ განსაზღვრული დადგენილი პირობების შესაბამისად განთავსების უზრუნველყოფით.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 300.00 (სამასი ლარი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.4. შემსყიდველის მიერ მოთხოვნის წარუდგენლობის შემთხვევაში, მომსახურების გაწევისა და მიღების, ასევე ანგარიშსწორების უფლება-მოვალეობები არ წარმოიქმნება.

3.5. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, ყოველი კონკრეტული მომსახურების დასრულებისთანავე მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

3.6. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურის უფროსი თეა სურგულაძე.

3.7. ანგარიშსწორების განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტებია:

- მიღება-ჩაბარების აქტი.
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

3.8. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 3.7. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების შემსყიდველისთვის წარმოდგენიდან არაუადრეს 8 და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
3.9. მომსახურების გაწევის ადგილია: შპს„ჯობს.გე"-ს ოფიციალური ინტერნეტ ვებ-გვერდი www.jobs.ge

4. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება იქნება უნაკლო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისი ხარჯითა და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე მისთვის (მიმწოდებლისათვის) გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას, შემსყიდველს უფლება აქვს სანქციის სახით დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულების პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა შემსყიდველის მიერ მისთვის (მიმწოდებლისთვის) პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა უნდა გადაუხადოს შემსყიდველს.
4.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
4.3. მომსახურების გაწევის დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომელსაც შემსყიდველი მიმწოდებელს დაუქვითავს ანგარიშსწორებისას.
4.4. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
4.5. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.
4.6. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
4.7. ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ათავისუფლებს მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვადებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისგან.
4.8. მიმწოდებლის მიერ ხელშერულების შეწყვეტის/მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
4.9. ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

5.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
5.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
5.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველს ან მის მიერ წარმოდგენილ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ გაწეული მომსახურების კონტროლი და/ან შეამოწმონ, სრულად არის თუ არა გაწეული მომსახურება.

6.2. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

6.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

6.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და შემსყიდველის მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერა.

6.3.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაცია და უარი თქვას დაგვიანებით ან არასრულად მოწოდებული ინფორმაციის მიღებაზე და შესაბამის ანაზღაურებაზე.

6.3.3. წინადებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

6.3.4. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა.

6.3.5. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფი შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის გარემოებები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

7.2. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

8.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

9.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა. რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა და არ/ვერ აღმოფხვრა აღნიშნული დარღვევა იმ ვადაში, რა ვადაც მითითებული იყო მეორე მხარის მიერ დარღვევის აღმოფხვრის შესახებ გაგზავნილ წერილობით მოთხოვნაში.

ბ. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ. სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

10.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10.3. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება/დამატება/დანართი იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10.4. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ნამდვილობაზე.
10.5. მხარეთა მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი ცვლილება/დანართი/დამატება წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სს„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ/ფაქსი: 2 24 40 40 / 2 24 40 41 ს/კ 206237491 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE71TB7895736030100001 დირექტორი ფინანსურ საკითხებში ო. ოგბაიძე	შპს„ჯობს.გე“ ი/მის.: ქ.თბილისი, ატენის ქ.N20, ბ.31 ტელ: (+995)593 32 02 06 ელ.ფოსტა: mariam@jobs.ge ს/კ: 205035282 სს„თიბისი ბანკი“ ცენტრალური ფილიალი ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE23TB0600000107467123 დირექტორი ა. ხუბულავა

დანართი N1

სტანდარტული განცხადება

ჯობს.გე საიტზე და ელექტრონულ დაგზავნაზე სტანდარტული განცხადების გამოქვეყნების ტარიფებია:
ერთი განცხადების გამოქვეყნება: 30 ლარი.
ვაკანსიის განცხადების შემთხვევაში ეს ტარიფი ვრცელდება ერთ განცხადებაში მოთავსებულ 1 ან 2 ვაკანსიაზე.
თუ ერთ განცხადებაში მოთავსებულ ვაკანსიათა ოდენობა ორს აჭარბებს, ამ შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი ტარიფები:
3-4 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 50 ლარი.
5-6 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 90 ლარი.
7-10 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 130 ლარი.
11-15 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 170 ლარი.
16-20 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 200 ლარი.
20-ზე მეტი ვაკანსია ერთ განცხადებაში: 250 ლარი

განცხადების განმეორებით განთავსება: 50% ფასდაკლება. მოცემული ფასდაკლება არ ეხება კომერციული მომსახურებების (ფასიანი ტრენინგების) შესახებ განცხადებებს.
განცხადების განმეორებით განთავსება შესაძლებელია თავდაპირველი განთავსებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.
განცხადება განმეორებით განთავსდება მხოლოდ პირვანდელი სახით და არაუმეტეს 2 ჯერისა ერთი თვის განმავლობაში. ფასდაკლება ვრცელდება მხოლოდ ერთ განმეორებით გამოქვეყნებაზე.
ფასდაკლება უფასო ტრეინინგების/სემინარების, სტიპენდიების პროგრამების და ასევე უფასო სტაჟირების შესახებ ინფორმაციის განთავსებაზე: 20%. ფასდაკლება არ ვრცელდება ვიპ-მომსახურებაზე.

ვიპ განცხადება
ერთი ვიპ-განცხადების განთავსების ღირებულებაა 70 ლარი.
ეს ტარიფი ვრცელდება ერთ განცხადებაში მოთავსებულ 1 ვაკანსიაზე. თუ ერთ განცხადებაში მოთავსებულ ვაკანსიათა ოდენობა ერთს აჭარბებს, ამ შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი ტარიფები:
2 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 85 ლარი.
3-4 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 100 ლარი.
5-6 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 130 ლარი.
7-10 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 170 ლარი.
11-15 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 210 ლარი.
16-20 ვაკანსია ერთ განცხადებაში: 250 ლარი.
20-ზე მეტი ვაკანსია ერთ განცხადებაში: 300 ლარი.

ვიპ ველი განკუთვნილია მხოლოდ ვაკანსიის განცხადებებისთვის.
გთხოვთ გაითვალისწინოთ: 7 დღიანი პერიოდის ამოწურვისას განცხადება გადაინაცვლებს სტანდარტული განცხადებების ჩამონათვალში, სადაც იგი დაიკავებს გამოქვეყნების თარიღის შესაბამის ადგილს, ანუ ჩამონათვალის თავში არ მოექცევა.
ლოგოტიპიანი განცხადებები
ლოგოტიპის განთავსების ღირებულებაა 20 ლარი.
ლოგოტიპის ზომა უნდა იყოს 16x16 პიქს., და იგი მოწოდებული უნდა იყოს GIF ფორმატში. გთხოვთ ასევე სურვილისამებრ მიუთითოთ გადასასვლელი ვებ-გვერდის მისამართი.

სარეკლამო ბანერი
ჩვენს ვებ-გვერდზე შესაძლებელია შემდეგი სახის ბანერის განთავსება:
დიდი ჰორიზონტალური ბანერი:
** ზომა პიქსელებში: 468x60
** ფაილის ზომა: არაუმეტეს 40 კბ
** ფაილის ფორმატი: GIF, JPG, SWF/Flash
ღირებულება: 2 ლარი ყოველ 1,000 ჩვენებაზე (მიუხედავად შეკვეთის მოცულობისა).

შპს„ჯობსგე“
ს/კ - 205035282

დირექტორი
ა. ხუბულავა

ხელწერილი

06.12.2018

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **შპს„ჯობს.გე“-სთან** (ს/კ 205035282), შესყიდვის განხორციელებისას ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ომარ ოგბაიძე _____

ნადია ხაჟომია _____

თამარ გურგენიძე _____

ვახტანგ ხელაძე _____

მერაბ დადუნაშვილი _____

ლევან ჩხეიძე _____

ინგა ხუციშვილი _____